

ინფრასტრუქტურის მინისტრი ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ოზურგეთის რეგიონული წარმომადგენლობის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოებს გაეცნო

ქალაქ ოზურგეთში რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი ზურაბ ალავეიძე იმყოფებოდა. მინისტრი გურიის მხარის გუბერნატორთან გააგებდა სალუქვაძესთან და ქალაქ ოზურგეთის მერთან ბეგლარ სიორიძესთან ერთად ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ოზურგეთის რეგიონული წარმომადგენლობის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოებს გაეცნო.

ფოლკლორის ცენტრის რეაბილიტაციის მუშაოების განხორციელების ფონზე მინისტრმა ოზურგეთის რეგიონული წარმომადგენლობის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოებს გაეცნო.

„მოხარული ვარ, რომ ჩვენს ქალაქში აღნიშნული ცენტრის სახით, ერთ-ერთი მასშტაბური პროექტი ხორციელდება. აქვე მინდა ოზურგეთელებს ძალიან

კარგი ამბავი ვუთხრა, მალე ისტორიული მუზეუმის რეაბილიტაცია დაიწყება. ეს საკითხი წლების მანძილზე გადაუჭრელ პრობლემას წარმოადგენდა და ახლა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ხელშეწყობით პრობლემა საბოლოოდ გადაიჭრება. აღნიშნული პროექტების განხორციელება, ჩვენს ქალაქში, მნიშვნელოვნად გაზრდის ტურისტულ პოტენციალს და ქალაქს უფრო მიმზიდველს გახდის. პირადად ჩემთვის მინისტრის ეს გადაწყვეტილება ორმაგად სასიხარულოა, რადგან ისტორიული მუზეუმი, ჩვენი წარსულის უმნიშვნელოვანესი საგანძურის მცველია.“ - განაცხადა ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის

მერმა ბეგლარ სიორიძემ.

ფოლკლორის რეგიონულ ცენტრში საქართველოს ფოლკლორის ფონდის საცავი, საკონცერტო დარბაზი, ხმის ჩამწერი სტუდიები და სალონები მოეწყობა.

მინისტრმა ასევე ქალაქ ოზურგეთში 23 აპრილს მოხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებული სახლების სახურავების სალიკვიდაციო სამუშაოები მოინახულა.

ზიანის სალიკვიდაციო ღონისძიებების განსახორციელებლად, მთავრობის დადგენილებით 1 700 000 ლარია გამოყოფილი.

სალიკვიდაციო ღონისძიებები ორი თვის განმავლობაში დასრულდება.



ქ ა ლ ი ო ნ ი

უბველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ - პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი გ ა ზ ე თ ი .

ჟოზეფიძე-ბერიძის გამომცემლობა. № 29 (10223) 24 ივლისი, 2017 წ. შპსი 50 თბილისი.

გაზეთი გამომცემლობა
1931 წლის
5 იანვარიდან

მკვლევრობა ქალაქ ოზურგეთში



ალიონი. 20 ივლისს, ქალაქ ოზურგეთში მკვლევრობა მოხდა. ქალაქის გარეუბანში, იაკობ შემოქმედელის ქუჩაზე საკუთარ ავტომობილში ჩაცხრილეს გურამ ფოცხიშვილი და მისი სიძე (დის ქმარი) დიმა ომელჩენკო. გავრცელებული ინფორმაციით, მკვლელობა ქურდული გარჩევის ნიშნად მოხდა. ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმაციით, სროლა ავტომობილში იარაღიდან დიდხანს გაგრძელდა,

თუმცა უშუალოდ თავდამსხმელები არავის დაუნახავს. რამდენიმე საათის შემდეგ მსუბუქი ავტომობილი, რომელიც შეიარაღებული თავდამსხმელები მიიმალნენ, სოფელ მელექელისა და სოფ ოზურგეთის საზღვარზე დაიწვარი იპოვეს. გარდაცვლილი გურამ ფოცხიშვილის მამა და ბაბუა ე.წ. „კანონიერი ქურდები“ იყვნენ. გავრცელებული ინფორმაციით საპატრონიდან ახალი გათავისუფლებული გურამ ფოცხიშვილი მჭიდრო კავშირში იყო ეგრედ წოდებულ ქურდულ სამყაროსთან. დიმა ომელჩენკო კი, რომელიც ერთ-ერთ ეკლესიაში სტიქაროსნად მსახურობდა, შემოქმედელი მიტროპოლიტის, მეუფე იოსების მძლიერი იყო. მომხდარზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

ბუნებრივი აირი ბაილეთს! – ეს ბაილეთელთა თხოვნაცაა და სამართლიანი მოთხოვნაც

თამარ მარშანიშვილი

ბაილეთი, როგორც სათემო ტერიტორიული ცენტრი, მოიცავს სოფლებს – ჭანიეთურს, ახალსოფელსა და თვით ბაილეთს. იგი, თავისი ბუნებრივი მდებარეობითა და რელიეფით, ერთ-ერთი საუკეთესო ოზურგეთის მუნიციპალიტეტში.

როგორც ტერიტორიულ ერთეულში მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელმა ნიკო მამულიაშვილმა გვითხრა, ბაილეთში სულ 370 ოჯახი (480 ბინათმოსარგებლე) ცხოვრობს, თემის საერთო ტერიტორია 1600 ჰექტარზე მეტია (1826 ჰექტარზე მეტი). ერთ სულ მოსახლეზე სავარგულების ფართობის მიხედვით იგი მესამეა მუნიციპალიტეტში.

ბაილეთში პრიორიტეტული დარგები მეჩაიობა და მეციტრუსეობა იყო, ახლა მეთხილეობაა. რა თქმა უნდა, შეუცვლელია ერთწლიანი კულტურები, განსაკუთრებით სიმინდი, მისდევენ მესაქონლეობასაც.

ცოტა ხნის წინ ჭანიეთურში, რომელიც თემის ყველაზე მაღალი სოფელია, გზის ერთ-ერთ სახიფათო მონაკვეთზე 150 მეტრი რკინა-ბეტონის საფარი დაიგო, რაზეც 70 ათას ლარზე მეტი დაიხარჯა. ჩვენი ჩასვლის მიზანიც სწორედ ამ გზის მონახულება და



იმ 30 ოჯახის პრობლემების გაცნობა იყო, რომელიც აქ ცხოვრობს.

ზვიად ცეცხლაძე ახალი ბეტონის საფარიანი გზიდან სულ რამდენიმე მეტრში ცხოვრობს. ფლობს 2 ჰექტარამდე მიწის ნაკვეთს, საიდანაც მდინარე სუფსის სანაპიროზე 6 ათას კვადრატულ მეტრამდე საყვანე ფართობია, დანარჩენი კი, ჭანიეთურში თხილის ნარგაობას უჭირავს. წლებულს 2 ტონამდე მოსავლის მიღებას ვარაუდობს. ბატონი ზვიადის თქმით, ამ გზის დაგებით დიდი საქმე გაკეთდა, მაგრამ სოფელში სხვა პრობლემებიცაა:

„ჭანიეთურს აქაური კაცი ადვილად ვერ შეეღებოდა, ისეთი სოფელია. ციკაბო, სახიფათო აღმართზე ბეტონის გზის დაგებით დიდი საქმე გაკეთდა და მაღლობის მეტი რა გვეთქმის როგორც სოფლის, ისე მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელების მიმართ, მაგრამ სოფელში სხვა პრობლემებიცაა. ჩემი აზრით, უპირველესად, ბუნებრივი აირის შემოყვანა აუცილებელია, რაც დიდ ხარჯებთან არ უნდა იყოს დაკავშირებული თუ კონკრეტული ან გურიანთიდან შემოიყვანენ. ვიცი, რომ სოფლის ხელმძღვანელობამ ყველა ინსტანციაში და-

სვა ეს საკითხი, მაგრამ საკითხი ვერჯერობით არ დაძრულა და კარგი იქნება თუ თქვენი გაზეთიც წამოგვამველებს სიტყვას. პარადოქსულად არ გეჩვენებათ, რომ გაზსადენის მილი ბაილეთში გადის და სოფელი დღემდე ბუნებრივი აირის გარეშეა?! სწორად გამოვიტყვი, ეს არ არის აზირობა, გაზფიცირება ბაილეთელთა თხოვნაცაა და სამართლიანი მოთხოვნაც.“

როგორც ყოფილმა ბრიგადირმა და სოფლის დამსახურებულმა ინსტანციაში და-

უკანასკნელი 300-კაცანი

დაიბაზი „Argo“ ტიქეტით:

ქორწილები 6 ლარიდან

514 03 80 03

558 56 24 05

ლიბერთი ბანკის გვერდით

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

- მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;
- მე-3-7 (თითოეული 810 კვ.სმ) მთლიანი გვერდებისა - 150-150 ლარი;
- 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;
- ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;
- შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.
- პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;
- მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 20 ლარი;
- სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
- გახსენება, ნეკროლოგი - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 50 თეთრი, ხელმოწერა: ერთი თვით - 2 ლარი, სამი თვით - 6 ლარი, 6 თვით -12 ლარი, ერთი წლით - 24 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციაში აუთორიზაციის ინ-აზრის კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება. რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარეკლამო მომსახურება

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

საინფორმაციო სამსახურის
ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ებისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამოცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაიწყეთ ყოველი ოქტომბრით ალიონით

ოზურგეთში, მდინარეში მანქანის გადაპარღვის შემდეგ 15 წლის ბიჭი დაიღუპა

20 ივლისს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ თხინვალში, მდინარეში მანქანა გადავარდა, შედეგად 15 წლის ბიჭი დაიღუპა. როგორც გამგებლის წარმომადგენლის თანაშემწემ, კახაბერ ვასაძემ „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა, მანქანაში ორი ახალგაზრდა ბიჭი იმყოფებოდა. „ზუსტად არ ვიცი, რა მოხდა და როგორ გადავარდა მდინარეში მანქანა.

ჩემთვის ცნობილია, რომ ორი ცდილობდა მანქანის გადმობრუნებას, მაგრამ ვერ მოახერხეს. სამწუხაროდ, ერთ-ერთი მათგანი დაიღუპა“, - განაცხადა კახაბერ ვასაძემ. სოფელ თხინვალის მცხოვრებლები კი აღნიშნავენ, რომ გუშინდელი ძლიერი წვიმის შედეგად სოფლის მდინარე ადიდებული იყო და ახალგაზრდა ბიჭმა მანქანიდან გადმოსვლა ვერ მოახერხა.

მართლმსაჯულების მისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით



ეროკავშირის დაფინანსებით, გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ არასამთავრობო ორგანიზაციასთან „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ (PHR) თანამშრომლობით, 2016 წლიდან ხორციელდება პროექტი „მართლმსაჯულების მისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით“. პროექტის მიზანია ბავშვების, სკოლის მასწავლებლების, ოჯახური დახმარების სამსახურის ადვოკატებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ინფორმირებულობის გაზრდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებისა და გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-3 დამატებითი ოქმის შესახებ. პროექტი ითვალისწინებს საჯარო სემინარებისა და სამუშაო შეხვედრების მოწყობას ბავშვებისა და სკოლის მონაწილეებისათვის თბილისსა და საქართველოს რეგიონებში - იმერეთში, კახეთში, გურიაში, მცხეთა-მთიანეთში, ქვემო ქართლში, ასევე სამუშაო შეხვედრებს

არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ოჯახური დახმარების სამსახურის ადვოკატებთან. პროექტის ფარგლებში 19 ივლისს სამუშაო შეხვედრა ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-3 დამატებითი ოქმის შესახებ შედგა ქალაქ ოზურგეთში, ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირში ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. „გარდა მისი, რომ ბავშვებს საქართველოდან, უფლების დარღვევის შემთხვევაში, პირდაპირ მიმართონ გაეროს ბავშვთა კომიტეტს, მთითხოვონ მათი დარღვეული უფლებების აღდგენა და მათი საქმეების განხილვა. ეს არის ერთ-ერთი ძალიან ეფექტური და ძლიერი მექანიზმი ბავშვთა უფლებების სფეროში. აქ ვიმყოფებით იმისთვის, რომ ორგანიზაციებს, რომლებიც მუშაობენ ბავშვთა თემებზე, ეს ინფორმაცია გაავრცელონ ბავშვებში, ოჯახებში შესაბამის ელემენტურ ორგანიზაციებში“ - თქვა შეხვედრაზე ა(ა) იპ „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ (PHR) ხელმძღვანელმა ანა აბაშიძემ. ა(ა) იპ „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ (PHR) სამუშაო შეხვედრებს ახორციელებს ეროკავშირის დაფინანსებით მიმდინარე პროექტის ფარგლებში - „მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება და ბავშვებზე მორგებული მართლმსაჯულების სისტემის განვითარება საქართველოში“.

არღვევიწყება მოყვრისა ანუ სამე სიკეთით სხივფენილი



ყველა თაობისთვის უსაყვარესი მწერლის, თანამედროვე ქართული პროზის უსათაურესი წარმომადგენლის ნოდარ ღუმბაძის დაბადების დღეს, 14 ივლისს დაბა ჩოხატაურში რამდენიმე ღონისძიება გაიმართა. „ეკოლოგია ვიბუტის სახელობის საქველმოქმედო ფონდმა“ ამ დღეს „ეკოლოგის ბიბლიოთეკაში“ ლიტერატურული კონკურსი ჩატარა, რომლის თემატიკა ნოდარ ღუმბაძის - ამ „მზანი გულის კვირის“ ბიოგრაფიისა და შემოქმედების არდაიწვევასა და გახსენებას მიეძღვნა. კონკურსში მონაწილეობა ასაკი არ იყო შეზღუდული. მასში მონაწილეობა 16-მა პროცენტმა მიიღო ჩოხატაურის, ლანჩხუთისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტებიდან. განსაკუთრებით სასიხარულოა ის ფაქტი, რომ კონკურსში ჭარბად ადამიანებთან ერთად მოზარდი ახალგაზრდობა, სკოლის მოსწავლეები

მონაწილეობდნენ. მათ შორის უხუცესი, - ბაბო ტულუშა-ქართველიშვილი 81 წლისაა, კონკურსის ყველაზე პატარა მონაწილე - ლიზი კუშელავა კი 9 წლისაა. ისინი „ეკოლოგია ვიბუტის სახელობის საქველმოქმედო ფონდისაგან“ ნოდარ ღუმბაძის ნაწარმოებების კრებულებით დასაჩუქრდნენ. ამ დღეს ჩოხატაურის სამსატერო გალერეაში შედგა მწერლის დაბადების დღისადმი მიძღვნილი კონკურსის „მე ვხედავ მეს“ გამარჯვებულის დაჯილდოება. აღნიშნული კონკურსის ერთ-ერთმა გამარჯვებულმა, - გოგილეუსხენელმა სკოლის მოსწავლემ დავით ბერძენიშვილმა იმავე დღეს გამართულ ლიტერატურულ კონკურსშიც მიიღო მონაწილეობა. სხვა მოზარდი ახალგაზრდობაც გამოირჩეოდა თავისი შემართებით, ინტერესითა და ინტელექტით. აღნიშნის ღირსია ნაგომის

ალაპიძე ოზურგეთში საგზაო ინფრასტრუქტურის სამუშაოები მოინახულა



რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი ზურაბ ალაპიძე პროექტების მიმდინარეობის მონიტორინგს განაგრძობს. ზურაბ ალაპიძემ გურიაში გუბერნატორთან ვია სალუქვაძესთან და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელთან მერაბ ჭანუყვაძესთან ერთად, საგზაო ინფრასტრუქტურის სამუშაოები დაათვალიერა. აგვისტოში, ოზურგეთი-ნატანები-ურეკის საავტომობილო გზის 8 კმ-იანი მონაკვეთის რეაბილიტაცია სრულდება. ამ ეტაპზე იგება ასფალტ-ბეტონის საფარი. სარეაბილიტაციო მონაკვეთზე

გათვალისწინებულია ადგილობრივ გზებთან მიერთებების, მოსახლეობის ეზოებთან შესასვლელებისა და საგზაო შემოფარგვლის მოწყობა. პროექტს სახელმწიფო სამშენებლო კომპანია ახორციელებს და სამუშაოებისთვის 4 მილიონ ლარზე მეტია გამოყოფილი. ავტორთანსპორტის უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველსაყოფად, დამონტაჟდება საგზაო ნიშნები. დადგენილ ვადებში გზასთან ერთად მოწესრიგდება ყველა სახის ინფრასტრუქტურა და მოქალაქეები უსაფრთხოდ და კომფორტულად შეძლებენ გადაადგილებას.

ოზურგეთის თეატრის წარმატებული გასტროლი საბერძნეთში

ალიონი. 2 ივლისიდან 12 ივლისის ჩათვლით საბერძნეთში, ქალაქ სალონიკში გამართულ თეატრალურ ფესტივალში ალ. წუწუნავას სახელობის ოზურგეთის სახელმწიფო თეატრი მონაწილეობდა. ფესტივალზე მსოფლიოს ოზურგეთელებმა უჩვენეს პოლიკარპე კაკაბაძის „სამი ასული“ (მამაუკა ბაბილოძის დადგმა), ხოლო ფესტივალის დასრულებაზე ჟან ანუის „ანტიგონე“ წარმოადგინეს (ვასილ ჩიგოვიძის დადგმა). ოზურგეთელებმა კიდევ ერთი სპექტაკლი გამართეს, ამჯერად ქართული დიასპორას. მათ ვაჟა ფშაველას „ნეტავი დაშაბდებელი“ (ვასილ ჩიგოვიძის დადგმა) აჩვენეს.



გასულ შაბათს ოზურგეთის თეატრი ფოთელი მსოფლიოს წინაშე წარსდგა. აქ მათ რეგიონების თეატრების ფესტივალზე ნოდარ ღუმბაძის „ბოშები“ წარმოადგინეს (აწ ვარდაცვილი გიზო ჟორდანიას დადგმა).

საჯარო სკოლის მოსწავლე მარიამ ცქვიტიშვილი. ჩოხატაურის სამრეწველო სკოლის მე-II კლასის მოსწავლე თამარ ჩხიკაძე კონკურსის გამარჯვებული გახდა. მან მეტად დაძაბულ შედეგში საბათი მესამე ადგილი დაიკავა. უნდა აღინიშნოს, რომ ფინალში მას მეტოქეობას უწევდნენ უფროსი თაობის წარმომადგენლები: ზურაბ სისხარულიძე - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მთავარი სპეციალისტი (მეოთხე ადგილი); მარინა ჩხიკაძე - ოზურგეთის წმინდა ნინოს სახელობის სამრეწველო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი (მეორე ადგილი) და თამარ ჟენტი-შენგელია - ფარცხის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი (პირველი ადგილი). გვიდა საზგასმით აფინიშით, რომ სწორედ ასეთი სიკეთით სხივფენილი კონკურსები და კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები არის ერთ-ერთი უპირველესი საფუძველი იმისა, რომ საქართველოს მოქალაქეებმა (და არამარტო მათ) უფრო კარგად აიციან ქართული გარემო, რათა უფრო მეტად გაუმჯობესდნენ და ჩაერგონ ქართული სულის, ყოველივე ქართულის შენარჩუნებისა და გაუმჯობესების კეთილი გრძობა და სიფარული. სწორედ ასეთ, მაღალ ლიტერატურულ, ესთეტიკურ და ეროვნულ ღირებულებებზე აღზრდილი პიროვნებები სჭირდება დღეს საქართველოს საერთაშორისო თვითმყოფადობის შენარჩუნებისთვის. კონკურსი ოთხ ეტაპად წარმართა. მას ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებუ-

ომარ ბაპუშაძე, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამშრომელი

ბუნებრივი აირი ბაილეთს! – ეს ბაილეთელთა თხოვნაა და საპარტიოანი მოთხოვნა



ურებულმა პიროვნებამ რეზო კვაჭაძემ გვითხრა, სოფლის მწვანით მოსილ სანახებში, ყველაზე მაღალ ადგილზე, საიდანაა გაშლილი ხელის-გულივით მოჩანს სუფსის ხეობა, ჭანიეთურელთა სიამაყე – ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია სოფელმა 2003 წელს ადადგინა საკუთარი ძალებით:

„ეს ადგილები თავად ნაკაშიძეთა სამფლობელო იყო. ეკლესია, რომელიც ღვთისმშობლის სახელობისაა, ჩვენი სიამაყეა. ბაილეთის ცენტრიდან 5,5 კილომეტრითაა დაშორებული. საგარეოდ, იგი 1609 წელს უნდა იყოს აგებული. 2003 წელს ალგადგინეთ საკუთარი ძალებით, ახლა წირვა-ლოცვაც ტარდება და მრევლიც არ აკლია. შეამჩნევდით, ალბათ, აქ ამოსვლამდე ორმოცდაათიოდე მეტრში მოსწორებულ ტერიტორიას, სადაც მალე კელია აშენდება“.

ნიკო მამულაიშვილმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ აპრილის სტიქიურმა მოვლენებმა თემის სამივე სოფელში მნიშვნელოვნად დაზარალა რამდენიმე ოჯახი, ჭანიეთურელი დავით კვაჭაძის ორსართულიან, კაპი-

ტალურ სახლს კი თითქმის მთლიანად გადახდა სახურავი:

„აპრილის ბოლოს დამანგრეველ ქარიშხალს, სამწუხაროდ, ვერც ბაილეთი გადაურჩა. სტიქიამ რამდენიმე ოჯახი სერიოზულად დაზარალა. ჭანიეთურელი დავით კვაჭაძის ორსართულიან კაპიტალურ სახლს კი თითქმის მთლიანად მოხდა სახურავი. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის ძალისხმევით, დავით კვაჭაძის სახლი თავიდან ბოლომდე გადაიხურა.“

ჩვენი სოფლის მკვიდრ რუსუდან დარჩიას მუნიციპალიტეტი ეხმარება სახლის მშენებლობაში. ამ მიზნით ქალბატონ რუსუდანს უკვე გადაეცა ბლოკი, ცემენტი, არმატურა და ხის მასალა.

სტიქიის შედეგად მიღებული ზარალის სალიკვიდაციოდ ბაილეთში ასევე მალე მიიღებს სამშენებლო მასალებს 6 ოჯახი“.

მოსახლეობას ტერიტორიული ერთეულის ცენტრშიც შევხვდით. ერთ-ერთი ბაილეთელი კაცის თქმით, რომელსაც არ უყვარს თანასოფლელობა ნატიქამზე მხოლოდ საკუთარი სახ-

ელისა და გვარის „მიტაბიკება“, სოფლის თავკაცი ნიკო მამულაიშვილი ამართლებს თავის გვარს:

„მოგესვენებთ, კვიცი კვარზე ხტის, ნიკო შვილია, ბატონი ამირანისა, ბაილეთელი „ამირანისა“ (ასე ვეძახით სოფელში), რომელსაც უდიდესი ღვაწლი მიუძღვის არა მარტო სოფლის, არამედ რაიონის წინაშეც. ნიკო ნამდვილად არის ჩვენი მამულის შვილი, რომელიც კარგად გრძნობს ჩვენს ტკივილსა და სიხარულს, ჩვენი ცხოვრებით ცხოვრობს. ნებისმიერი ბაილეთელი ასე გეტყვის, ამიტომ არ არის საჭირო ამ ნატიქამზე მხოლოდ ჩემი სახელისა და გვარის „მიტაბიკება“. ბოდიშს ვიხდით, არ მიყვარს ასეთი რაღაცა“.

თვით ნიკოს კი ნამდვილად არ სცალია საკუთარ თავზე სასაუბროდ, არც უყვარს მგონი, რადგან ამ საკითხზე სიტყვა ჩამოვუვდეთ თუ არა, მან სასაუბრო თემა შეცვალა და „ლიბერთი ბანკის“ ფეიაგენტი ვერიკო იმნაძე გაგვაცნო:

„კარგ საქმეს აკეთებს ეს ჩვენური ახალგაზრდა ქალი და „ლიბერთი ბანკი“, ადგილზე დაუგვიანებლად და უპრობლემოდ იცემა პენსიები, კეთდება სწრაფი სესხები, ხორციელდება გზავნილები, აქვე იხდიან კომუნალურ გადასახადებსაც. ერთი სიტყვით, კარგი სერვისია, განსაკუთრებით პენსიონერთათვის“.

სოფელი კმაყოფილია, უფრო სწორად, მადლობელია სოფლის ექიმის, ბატონი ჟინდერი ჩხარტიშვილისა. გარკვეულწილად ამ კაცის დამსახურებაა, რომ, სხვა სოფლებთან შედარებით, ბაილეთში ჯანმრთელობითა და სიცოცხლის ხანგრძლივობით გამორჩეული ხალხი ცხოვრობს. მაგალითი გნებავთ? ჩვენი იქ ყოფნისას 93 წლის ქალბატონი ზინა გოგუაძე თვითონ მობრძანდა პენსიის

ასალებად სოფლის ადმინისტრაციულ შენობაში, სადაც ფეიაგენტი ზის.

როგორც ბაილეთში გვითხრეს, ბოლო დროს სოფელმა ვერაფერი მოუხერხა მგლების შემოსევას. რაც დრო გადის, მით უფრო ზარალდება მოსახლეობა. გვითხრეს, რომ ამ ორი წლის განმავლობაში მხოლოდ ანზორ ცერცვაძეს მგლებმა 10-მდე მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი აზარალა. მგლებმა დაგლიჯეს ასევე შუქრი ცერცვაძის, ამირან მამულაიშვილის, თამაზ გარდაფაძისა და სხვების საქონლები. ერთი სიტყვით, სოფელში თითქმის არ არის მგლისგან დაუზარალებელი ოჯახი. ბაილეთელები ამ პრობლემის გადასაჭრელად დახმარებას ითხოვენ მუნიციპალიტეტისა და ცენტრალური ხელისუფლებისაგან.

ბაილეთი ის იშვიათი სოფელია, სადაც თითქმის არ შეინიშნება მიგრაციის პროცესი, მაგრამ ბოლოდროინდელი დემოგრაფიული მონაცემები ვერ არის მთლად საზარბიელო, რაც ძირითადად გამოწვეულია იმით, რომ ახალგაზრდები თავს იკავებენ

დაოჯახებისაგან, დაოჯახებულები კი თითო-ორი ბავშვის გაჩენით კმაყოფილდებიან.

ორიოდე თვის წინათ, როცა აქ გამზადდებოდა საგაზეთო მასალას საბავშვო ბაღზე, რომელიც, ჩვენი აზრით, ერთ-ერთი საუკეთესოა მიუღწევი მუნიციპალიტეტში, გაკვირვებული დავრჩით ბავშვთა უჩვეულოდ დაბალი კონტიგენტი, მაშინ საბავშვო ბაღის მენეჯერმა, ქალბატონმა ლუიზა ზაქარიაძემ გვითხრა, რომ სოფელში ოთხმოცამდე ახალგაზრდაა დასაოჯახებელი(!).

არა მგონია, ამ ორ თვეში დიდად შეცვლილიყო ეს საგანგაშო სტატისტიკა. არც იმაზე ვაპირებთ დავას, რომ სოფელს მხოლოდ მაშინ აქვს მომავალი, როცა ეზრდება საკმაო რაოდენობის მომავალი თაობა, როცა იგრძნობა მატება და არა კლება. ასე რომ, ამ თვალსაზრისით, ბაილეთელებს დაფიქრებაც მართებთ და ქმედებაც.



თანამშრომლობა ოზურგეთის მერიასა და ფონდ „აი ია“-ს შორის ბრძედება



საქველმოქმედო ფონდ "აი ია"-ს ინიციატივითა და ხელშეწყობით, სმენადარღვეულ ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრმა ქალაქ ოზურგეთში 15-16 ივნისს ორდღიანი ტრენინგი სახელწოდებით "კოხლერული იმპლანტაცია - მძიმე სმენადაზიანების რეაბილიტაციის ყველაზე ეფექტური მეთოდი", ადგილობრივი სკოლების ინკლუზიური პედაგოგების, საბავშვო ბაღების პედაგოგებისა და დაზიანებული სმენის მქონე ბავშვების მშობლებისათვის ჩატარა.

დღეს, უკვე ფონდ "აი ია"-მ სამედიცინო ცენტრ "მედალფა"-ს სმენის შემოწმების აპარატურა გადასცა. სკრ-

ინინგის აპარატურა, რომელიც ოზურგეთისა და გურიის მოსახლეობისთვის ფონდ „აი ია“-ს დამფუძნებელმა ვანო ჩხარტიშვილმა შეიძინა, სმენის პრობლემის დიაგნოსტიკას ადგილზე გახდის ხელმისაწვდომს.

სკრინინგის აპარატის გადაცემის პროცესს, ქალაქ ოზურგეთის მერი ბეგლარ სიორიძე დაესწრო.

„მივესალმები ფონდ „აი ია“-ს ამ მნიშვნელოვან და ამავე დროს ჰუმანურ გადაწყვეტილებას. სკრინინგის აპარატის ოზურგეთში განთავსება, გარდა მისი საჭიროებისა, ამ პრობლემის მქონე ბავშვების მშობლებს შეღავათს გაუწევს. მათთვის დიაგნოსტიკა ადგ-

ილზევე გახდება შესაძლებელი. მაღლობს ვუხდი ფონდ „აი ია“-ს დამფუძნებელს ბატონ ვანო ჩხარტიშვილს ამ ქველმოქმედებისთვის“ - აღნიშნა ქალაქ ოზურგეთის მერმა ბეგლარ სიორიძემ.

დღესვე სამედიცინო კლინიკა "მედალფა"-ში დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის, ამერიკული ჰუმანიტარული ორგანიზაცია „სმენის შეფასებისა და მართვის ეროვნული ცენტრის“, ფონდ „აი ია“-ს და შპს „კინდ-სმენა“-ს მიერ ორგანიზებული ტრენინგი ჩატარდა. აღნიშნული ტრენინგი მიზანდა მიზანს სამედიცინო პერსონალის სწავლებას სკრინინგის პრაქტიკული უნარჩვენების განვითარებაში.

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, ყოველი 1000 ახალშობილიდან დაახლოებით 1-დან 5 ახალშობილს აღენიშნება თანდაყოლილი ან ადრულ ასაკში გამოვლენილი სენსონერული სიყრუე ან მწვავე თუ ღრმა ზარისხის სმენის დარღვევა, რაც იწვევს მეტყველების, ვერბალური კომუნიკაციის და კოგნიტიური უნარების შენელებულ განვითარებას, ბავშვთა სოციალური ინტეგრაციის, სასწავლო პროგრამების ათვისების და ინტელექტუალური განვითარების შეფერხებას.

ლიხაურის ციხეს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი მიენიჭა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლიხაურში მდებარე ციხეს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი მიენიჭა.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს ინფორმაციით, მთაზე მდგომი ციხე სწორკუთხაა და რიყის ქვით არის ნაგები. სამშენებლოდ ასევე გამოყენებულია

ბაზალტისა და ქვიშაქვის ნაწილობრივ დამუშავებული ქვები. ციხის გალავნის დასავლეთ ნაწილში ზურგინი, ორსართულიანი საბრძოლო კოშკია, რომელსაც კონტროლის დანიშნულებაც ჰქონდა.

ციხე არა მხოლოდ დამცავ ნაგებობად გამოიყენებოდა, არამედ საცხოვრებლადაც.



ამონარიდები ჩემპიონთა აღსაზრდელი ცენტრის თათბირიდან



ალიონი. ქალაქ ოზურგეთის გაერთიანებული სპორტის ცენტრი ყოველთვის წარმატებული ა(ა)იპ-ი იყო, მაგრამ ბოლო ორი წლის სტატიკას რომ გადავხედოთ, მაინც გაოცებული დავრჩით. რასაკვირველია, არის აქ წამყვანი, პრიორიტეტული სექციები, მაგრამ არ არის სუსტი სექცია – ცამეტიდან ცამეტივე წარმატებულად მუშაობს და შედეგებიც შესაბამისი აქვს.

სექციის ხელმძღვანელებისა და მწვრთნელების თქმით, ამ აღმავლობაში ლომის წვლილი შეიძლება ცენტრის ახალმა დირექტორმა გონა კვანტალიანმა, რომელმაც ეს პოსტი 2015 წლის 3 ნოემბრიდან დაიკავა და ამ მოკლე დროში მკაცრი დისციპლინით, სწორი ორგანიზებით, ქალაქის ხელისუფლებასთან საერთო ენის გამოხატვით, მწვრთნელებთან და სპორტსმენებთან თბილი, მეგობრული დამოკიდებულებით, შეძლო იდეალური, თითოთი საწვინებელი კოლექტივის ჩამოყალიბება.

როგორც ბერძნულ-რომაული ჭიდაობის ცნობილმა სპეციალისტმა ვალერი ზურაბიანმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, წინა ხელმძღვანელებსაც ემაღლიერებოდა, მაგრამ რაც გოჩამ შეძლო, ამას ფანტასტიკის რეალობად ქცევა ჰქვია. ვერაფერს დასახელებს ისეთ დაგეგმილ თუ დაუგეგმავ საკითხს, პრობლემას, რომელსაც ამ კაცმა თავი ვერ გართავა.

სტატისტიკა ვასწავნებ, სწორედ სტატისტიკამ გვიბოძა, რომ წინამდებარე საგაზეთო მასალაში როგორმე ერთობლივად წარმოგვედგინა ქალაქ ოზურგეთის გაერთიანებული სპორტის ცენტრის ბოლოდროინდელი შედეგები და ამ მიზნით გასულ კვირაში დავუსწავრით თათბირს, სადაც წვლევანდელი ექვსი თვის მუშაობა შეაჯამეს.

ვთავაზობთ ამონარიდებს მწვრთნელთა გამოხატულებიდან:

მიულო – გონა ბურჭულაძე, დიმიტრი ტულუში დავით ჩიკაშუა: პირობები რომ კარგია, ეს, უპირველესად, ჩვენი ხელმძღვანელობის, განსაკუთრებით გონა კვანტალიანის დამსახურებაა. სამაგიეროდ, გვაქვს საკმაო წარმატებები. სხვას რომ თავი დაეანებოთ, მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის ლიცენზია მოვიპოვეთ. ძიულდ საქართველოში აღმავლობითი სპორტია და ძნელია საქართველოს ჩემპიონატი მოიგო, მაგრამ გვყავს პრიზიორები სხვადასხვა ასაკსა წონით კატეგორიაში გვყავს პრიზიორები: გოდერძი ქათამაძე, ვეფხია გაბუნია, საბა ხოზრევანიძე, საბა ცეცხლაძე, თორნიკე ონიანი.

პიპ-პომენიძე – ლამა ჭვჭვბოძე: ჩვენ 2016 წლიდან შემოვეერთდით ამ დიდი ოჯახს, მანამდე ერთუნიანობით ვმუშაობდით. მართლაც უზარმაზარ მხარდაჭერას ვგრძნობთ ცენტრის ხელმძღვანელებიდან. გვყავს

საქართველოს ჩემპიონატის პრიზიორი ტარიელ ონიანი, მე კი საქართველოს ჩემპიონი ვარ. ბევრს ვერაფერს ვიტყვი, ჩემი აზრით, ისე მიდის ყველაფერი, როგორც საჭიროა. დიდი კონკურენციაა, აღმოსავლეთის რეგიონებთან შედარებით, ცოტას მოვიკოჭლებთ, მაგრამ ამ ეტაპზე მაინც კმაყოფილი უნდა ვიყოთ. შემიძლია ვთქვა, ბევრს ვწავლობ ამ ხალხიდან, რომელსაც გაზრდილი ჰყავს აძენი ჩემპიონი..

მელქონსონა – მარინა კოტრიკაძე, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი: როგორ არ ვიყოთ კმაყოფილი, როცა გვყავს საქართველოს ჩემპიონები ბირთვის კვრამში – სოფო შათირიშვილი და უროს ტყორცნაში – გოგა ჭიხვარია. ორგზის ევროპის ჩემპიონი 100 მეტრზე რბენასა და 4X100 მეტრზე ამანატორებში ნიკა კარტავეცივი, ახალგაზრდებიდან გიორგი დეკანოიძე სამხტომში, ნიკა თავართქილაძე 100 და 200 მეტრზე რბენაში, პატარებიდან გიორგი მახარაძე და რევაზ გოგიტიძე სამხტომში. მოვიპოვეთ ევროპის ჩემპიონატის ლიცენზია. გოგა ჭიხვარია უკვე გახდა ევროპის ჩემპიონი, სოფო შათირიშვილი კიასხლა ასპარეზობს და ჯერჯერობით შედეგი არ ვიცით. ნიკა კარტავეცივს ტრავმა აქვს და ამ ჩემპიონატში ვერ მონაწილეობს, მაგრამ აუცილებლად მოემზადება მსოფლიო ჩემპიონატისთვის.

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა – ირაკლი მაჭარაშვილი, ოლიმპიური ჩემპიონის მანუჩარ კვიციანიას აღმზრდელი:

ახლა სამი სპორტსმენი გვყავდა ევროპის ჩემპიონატზე ახალგაზრდებში. გამოუცდლობის გამო (გამოცდილები სპორტის სხვა სახეობამ წაგვართვა) საპრიზიორ ადგილები ვერ მოიპოვეს. გულისტკივილით ვთქვა ერთი რამ, რაც საზოგადოებამ შეიძლება არ იცოდეს: ჩვენს ერთ-ერთ მოჭიდავეს რუსის სპორტსმენი ისე მოექცა, საერთოდ მოსახსნელი იყო ჩემპიონატიდან.. მაგრამ ორგანიზატორებმა ამანერატომდაც თვალი დახუჭეს, რუსმა სპორტსმენმა განაგრძო ჩემპიონატი, ჩვენი სპორტსმენი კი, რომელიც მედლის რეალური კანდიდატი იყო ტრავმის გამო გამოეთიშა ასპარეზობას.

დღეის მდგომარეობით, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრები არიან შოთიკო ლლონტი, ტრისტან ქინქლაძე; ჭაბუკებშიც გვყავს პერსპექტიული ბიჭები.

ამ ბოლოს ძალიან ცუდი ტენდენცია დამკვიდრდა. ჩვენი მომზადებული ბიჭები მიჰყავთ მორაგებებს ფაქტობრივად 5-6 წლის შრომა წყალში გვეყრება. აუცილებლად უნდა ვთქვა, რომ ოზურგეთში რაღაც ჩვენი ხარვეთი გადის ფონს. ერთი ისეთი ბიჭი წაიყვანეს, მე-5 იყო ევროპაში. ორი წელი

კამზადეთ და ნაკრებს აღეუზარდეთო, წერდნენ მერე. არ ყოფილა ასე.

საერთოდ მიღებული უნდა იყოს რადიკალიზირებული ფორმა, როცა სპორტსმენი ჩემპიონი გახდება ან სამეულში შევა მას ხელფასი უნდა დაენიშნოს, რომ სპორტის სხვა სახეობის მესვეურებმა ან მეზობელმა რეგიონებმა არ წაგვართვან. ფასიშეიძლია გავზარდეთ, ადგენენ და მორაგებებმა წაგვართვენ. აჭარამ წარმატებების 30 პროცენტზე მეტი ჩემი აღზრდილი ბავშვებით მოიპოვა. 300-ათასიან ბიუჯეტს 30-ათასიანი ვერ მოერევი, თუ რაღაც ზომები არ იქნა მიღებული.

ამიტომ ვითხოვთ საქართველოს ჩემპიონებსა და პრიზიორებს დაენიშნოთ ხელფასი, რატომ აქვს წახალისება რაგბს და რატომ არ აქვს ბერძნულ-რომაულ ჭიდაობას. ამიტომ მოგვიხდა გამოუცდელი ბავშვების გამოყვანა. ევროპაზე. საჭიდაო დარბაზითაც („ამირანი“ არ ვართ კმაყოფილი. რა რემონტი ჰქვია ამას 32-ლარიანი დსპ-ები ჩამოსხნეს და და 4-ლარიანი გიპსკარდონები გააკრეს?!)

მიგვაჩნია, რომ ამ დარბაზს უნდა მიენიჭოს მანუჩარ კვიციანიას სახელი, მანუჩარი არ არის წინააღმდეგი და ის ამას ნამდვილად იმსახურებს. სხვათა შორის, მანუჩარ კვიციელი ერთადერთი კაცია, რომელიც მსოფლიოს, ევროპისა და ოლიმპიური ჩემპიონი გახდა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში დამოუკიდებელი საქართველოდან.

მონა კვანტალიანი, ქალაქ ოზურგეთის გაერთიანებული სპორტის ცენტრის დირექტორი: სრული ჭეშმარიტებაა, რასაც გურამი ამბობს, ბერძნულ-რომაულ ჭიდაობასა და მსოფლიოს პერსპექტიული ბავშვები წაართვეს სრული ამ სიტყვიუს მნიშვნელობით. ვეთანხმები, რომ წარმატებულ სპორტსმენებს მიეცეთ ხელფასი, მიზნული მაინც, რომ წასვლაზე არ იფიქროს. გარდა ამისა, ამ მიზნით შესაბამისი ევროდიულად გამართული ხელშეკრულების ფორმა, რომელიც გაფორმდება ბავშვების მშობლებთან

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა – თენგიზ მუჯირი: მწვრთნელად მუშაობის 30-წლიანი გამოცდილება მაქვს. ჩემი აღზრდილებია: ევროპის ჩემპიონი ვლადიმერ ქარჩავა, რომელიც შემდეგ პრიზიორი გახდა; საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული კასაბერ მექვაბიშვილი, საქართველოს ჩემპიონები ფრიდონ აბაშიძე და ივიკე კასაბერ მექვაბიშვილი, ოლიმპიური პრიზიორი ბავშვებში ლამა დლოძი, საქართველოს ნაკრების წევრი ვალერი მურვანიძე. 23 წლამდე ასაკის სპორტსმენთა შორის საქართველოს ჩემპიონის პრიზიორი გახდა ალექსი ნიღია. ახლახან ბაქოს შეკრებიდან ჩამოვიდნენ რესპუბლიკური ტურნირის

პრიზიორები ძმები წიკლაურები.

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა – კასაბერ აბაშიძე: მოკლედ, ლუკა ბენდელიანი გახდა საქართველოს ჩემპიონი, მეზუთე იყო ევროპის ჩემპიონ-ატლე. საერთაშორისო ტურნირებში გამარჯვებულები და პრიზიორებია ლუკა ჯავახაძე – I ადგილი, ნიკოლოზ შოკაშვილი – II ადგილი და ლუკა ფიფია – III ადგილი. კუკური ბარბაქაძე გახდავეთ როსტომ აბაშიძის სახელობის საერთაშორისო ტურნირის ჩემპიონი, კახა კალანდაძემ კი თბილისში, მაისურაძის საერთაშორისო ტურნირში წაიჭიდა III ადგილი მოიპოვა.

შოთოკან კარაბაძე – შოთა ლლონტი: საერთაშორისო ტურნირზე სამი კაცი გვყავდა სტამბოლში და სამი სხვადასხვა სინჯის მედალი წამოვიღეთ: I ადგილი – ლამა კოსტავა, II – ავთანდილ ონიანი, III – გიორგი მამინაშვილი. შარშან საქართველოს ჩემპიონი გახდა ნიკოლოზ დარჩია. მთლიანობაში შარშან 7 ოქრო 8 ვერცხლი და 12 ბრინჯაო მოვიპოვეთ, წაიჭიდა 6 თვეში – 5 ოქრო, 4 ვერცხლი და 12 ბრინჯაო ექვსი შეჯიბრებიდან.

ტამაზ მონღო – ირაკლი ტულუში: კონტაქტური კარაბაძე: ცენტრის ხელმძღვანელობისადმი მადლობით დავიწყებ, ბიუჯეტი 1500 ლარი გვქონდა და 5 ათას ლარამდე აიყვანა. ტურნირებში თუ სამ-სამი სპორტსმენის გამოყვანა ხერხდებოდა, ახლა ხუთ-ხუთი გამოგვყავს.

გვყავს საქართველოს ჩემპიონი ანდრო სადრაძე, ცოტენ სირაძე, მარი მაჭარაშვილი. II პრიზიორებიც. ჩემი მოსწავლე თემურ ლლონტი ბერლინის საერთაშორისო ტურნირის II პრიზიორი გახდა, რომელში 20 ქვეყნის სპორტსმენები მონაწილეობდნენ. კარგი იქნება თუ პირობები კიდევ უფრო გაუმჯობესდება. პირობები არ გვაქვს, მომავალში გამოსწორდება. ხუთი წელიწადი რომ ოზურგეთს სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენლები ეცნობიან, ეს ჩვენი დამსახურებაა.

პრიმი – თეონ სავაია: სერიოზული პრობლემები გვქონდა რინგისა და დარბაზისა. ბატონმა გოჩამ მოგვარა ეს პრობლემა. სექცია ფუნქციონირებდა, მაგრამ რინგი არ იყო; გვაქვს შედეგები: გვყავს ერთი საქართველოს ჩემპიონი ოთარ აბესაძე და პრიზიორი რომა აბესაძე, კანდელაკის საერთაშორისო ტურნირზე ფინალში იყო რომა. არიან პერსპექტიული ბავშვები და რესპუბლიკურ ტურნირებში გამარჯვებულები: გივი გობრონიძე, ლევან ნაცვალაძე. შარშან საქართველოზე მესამე ადგილი დაიკავა ოთარ აბესაძემ. ერთი პიროვნება დავკვამატა და სექტემბრიდან იმუშავენ სამი სექცია.

გვლავაძე – გიორგი რუსიევილი: ოთხი წელია, რაც ვფუნქციონირებთ, უკვე გვყავს საქართველოს ჩემპიონი დავით თენიშვილი, შემდეგ ის გახდა მსოფლიოს ჩემპიონატის მეორე პრიზიორი, ევროპის ჩემპიონი.

წაიჭიდა საქართველოს ჩემპიონატიდან ოთხი მეორე ადგილი წამოვიღეთ (გიორგი შუკაკიძე, ლუკა მეტეაძე, დიმიტრი დლოძი და ავთანდილ კვაჭანტირაძე). გიორგი შუკაკიძე მსოფლიო ჩემპიონატზე უნდა გაემგზავრო უნგრეთში. გასაშვებია მსოფლიო ჩემპიონატზე უნგრეთში. მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობისათვის მეორე ნომერი სპორტსმენები არ ფინანსდებიან, როგორც ბატონმა გოჩამ გვითხრა, გიორგის დაფინანსებას ის საკუთარ თავზე იღებს. ვიმედოვნებთ, რომ შუკაკიძე მსოფლიო ჩემპიონატიდან მედლით დავკვირდებით. ახლახან აჭარის ჩემპიონატიდან ისევე

ოთხი მედალი წამოვიღეს ივიკე ბიჭვჭვაძე.

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა – ზურაბ და ვლადიმერ ზურაბიანი:

მადლობა გოჩას, რომ ყველანაირ პირობებს ვეიქნის, განსაკუთრებით ბერძნულ-რომაულ ჭიდაობას. გვყავს 20 წლამდე მსოფლიო ჩემპიონატში გამარჯვებული დავით ჩხარტიშვილი, დათო საქართველოს ნაკრების პირველ ნომრად ითვლება და გამზადდებ მსოფლიო ჩემპიონატისთვის.

20 წლამდე ასაკში გიორგი გუჯაბიძემ ბაქოს გრანპრიზე აიღო ბრინჯაოს მედალი. 7 შეხვედრიდან 6 მოიგო და მხოლოდ ერთში დამარცხდა დამაბულ ორთაბროლაში საერთაშორისო ტურნირზე დაამარცხა რუსეთის პირველი და მეორე ნომრები. წაიჭიდა 10 საერთაშორისო მედალი გვაქვს. გივი კარტოზიას საერთაშორისო ტურნირზე მესამე საპრიზიორ ადგილები აიღეს გუჯაბიძემ და დავით ლომიძემ. ასევე მესამე იყო ბულგარეთის საერთაშორისო ტურნირზე გონა თოხაძე.

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა – ვია ბაქანიძე: გურამ მაჭარაშვილთან ერთად ვმუშაობ. ახლა რომ შედეგები გვაქვს, ასეთი არასოდეს გვქონია. რაც კი დავკვირდებ, ყველაფერში გვერდში გვიდგას ხელმძღვანელობა.

მალაზქვილი – ზურა ბურჭულაძე: წელიწადნახევარია რაც ვმუშაობ სათქმელი ბევრი არაფერი მაქვს. დარწმუნებული ვარ, საწადელს მივალწვე.

პალატიშვილი – ახა მუჯაყანაძე, C კატეგორიის მწვრთნელი: კალათბურთი გუნდური თამაშია. ბოლო ორი წელია ვმონაწილეობთ ჯუნორ ენ-ბი-აი-ში 2004-იანებში, 2006-იანებში. მართალია ჯერჯერობით დიდი შედეგი ვერ დავდეთ, მაგრამ მივიღეთ გამოცდილება. სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში ზაზა ფაჩულაძის აკადემიამ შეარჩია ჩვენი ორი ბავშვი: 14 წლის საბა სისხარულიძე, რომლის სიმაღლეა 1,90 მ და 2000 წელს დაბადებული სანდრო კვერციანი.

გვყავს წარმატებული ბავშვები: თორნიკე მახარაძე, სერგო გუნაძე, ლუკა ტრაპაძე გოგი დლოძი, ლეო თითქი, ნიკოლოზ შუბლაძე და სხვები.

თაყაიშვილი – თაყაიშვილი – დავით მაჭარაშვილი: ბერძნულ-რომაულს შედეგებით ვერ გავეჯობებთ, ერთი დარბაზი გვაქვს და ეს არის გასათვალისწინებელი. შარშან ჩვენი აღსაზრდელი კახა ირემიძე საქართველოს ჩემპიონი გახდა ახალგაზრდებს შორის, კახა ირემიძე, რომელიც ამავე დროს მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილეცაა. საქართველოს ჩემპიონატის პრიზიორი ჭაბუკთა შორის ქემალ ხარაბაძე, თედიანშვილის ტურნირის გამარჯვებული – გიორგი მექვაბიშვილი, საქართველოს ჩემპიონატის პრიზიორები – გიორგი გორგაძე და კახა ძირკვაძე, თბილისის საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული დათო შავაძე.

P.S. მათემატიკაში იმდენად კი ვერკვეთ, რომ ეს ყველაფერი შეგვეჯამება და ისე მივეწყოლებოდა მეთხველისთვის, მაგრამ არ გამოგვივა მთლად ზუსტი, რადგან სანამ ეს გაზეთი დაიბეჭდება, ჩემპიონთა აღსაზრდელი ამ დიდი კერის – ქალაქ ოზურგეთის გაერთიანებული სპორტის განვითარების ცენტრის სპორტსმენები თავიანთ მონაგარს უსათუოდ შემატყვენ რამდენიმე მედალს.

უმცველრა ქვეყნის იმდროინდელ ლიდერთან

განვაგრძობთ ცნობილი ჟურნალისტისა და მთარგმნელის ვაჟა ჭანუყვასის საარქივო ჩანაწერებიდან კუბლიკაციების გეგმას



ბათუმიდან დაბრუნებულმა ფილიპე მახარაძის სახლ-მუზეუმში დავიწყებულ მუშაობა, ჩემივე მშობლიურ სოფელში. ეს სახლ-მუზეუმი, რომლისთვისაც ფილიპე მახარაძისეული ოდა-სახლი გაარემონტეს, სოსო დარჩიამ და მე გავსენით. იგი რაიკომის ინსტრუქტორად დაინიშნა, მე კი ამ მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომლად.

პროფესორ იოსებ მენაბდის გეგმის მიხედვით და მისივე დახმარებით, ამ მუზეუმისთვის საჭირო მასალები თვითონვე მოვიძიეთ და შევავსოვეთ თბილისში, რისთვისაც არაერთხელ მოგვიხდა დედაქალაქში გამგზავრება.

საამისოდ ხშირად ვსტუმრობდით თბილისში მცხოვრებ ფი-

ლიპე მახარაძის ქალიშვილთა ოჯახებს, აგრეთვე დედაქალაქში მდებარე სხვადასხვა ორგანიზაციებს.

მუზეუმი მალე რაიონის ერთ-ერთ ღირსშესანიშნავ კულტურულ დაწესებულებად და საექსკურსიო ობიექტად იქცა. ამას ხელს უწყობდა თვით ჩვენი სოფლის მომხიბვლელობა, მუზეუმის ეზომიდან მყუდროება და მომჯადოებული სილამაზე. აბინიებული კონინდარი... ძველთაძველი ცხემლების ჩრდილში მამა-პაპისეული მარანი იყო მოთავსებული.

ამ მარანს ჩვენ გვერდით ცემენტის დიდი, მრგვალი მაგიდა გავუკეთეთ, რომელზედაც ვაზი იყო მოშენებული.

ეზოს ძველი, თავადური სტილის ჭიშკრიდან მოასფალტებული გზა სოფლის ფართო გზატკეცილზე გამოდიოდა, სადაც დიდი თაღი იყო აღმართული.

ასე რომ, სტუმრები მარტო იმისთვისაც მოდიოდნენ (განსაკუთრებით ზაფხულის ცხელ დღეებში), რომ ცხოვრების ორმხრივად გამოიღებოდნენ და სულიერად დაესვენათ, ხოლო თუ სადმე ჩეროში სუფრაც გაიშლებოდა, იქ მოლხენას ნამდვილად არაფერი სჯობდა!..

დაგვეგმილი იყო შეხვედრები ადგილობრივი ხელისუფლების მაღალ ემულონებში, ასევე სხვადასხვა ორგანიზაციებში.

ერთხელ, ეს იყო 1958 წლის ივნისი, გაგვაფრთხილეს, რომ ჩვენი სტუმარი იქნებოდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვასილ პავლეს ძე მჭავანაძე..

თავზარი არ დაგვეცემია, მაგრამ დიდი ფორიაქი კი აგვიტყდა... მამინ რაიკომის პირველ მდივანად მუშაობდა ერთობ ნიჭიერი და კარგი ორგანიზატორი შოთა ჭანუყვაძე (შემდგომში ცეკას ერთ-ერთი მდივანი), რომელიც იმავე დროს დიდი ავტორიტეტით და სიყვარულით სარგებლობდა, როგორც ხელმძღვანელობაში, ასევე საზოგადოებაში.

მან წინდაწინ, სპეციალურად გამოგზავნა კულტურის განყოფილების გამგე ივანე (კუკური)

ანთელიძე ობიექტის შესამოწმებლად და თუ რაიმე ხარვეზი იქნებოდა, მათ გამოსასწორებლად (ჭიქნდათ მათ ასეთი სტილი, რომელიც გამოიხატებოდა ფორმულაში: „ენდე, მაგრამ შეამოწმე“; ვფიქრობ, იგი დღესაც არ კარგავს თავის აქტუალობას)...

რაიონის იმდროინდელ თავკაცებს დაეკისრათ სასიცოცხლო ობიექტების ზედმეწვევით მოწესრიგება.

ვასილ მჭავანაძე რაღაც მასშტაბურ ღონისძიებასთან დაკავშირებით სტუმრობდა მამინ რაიონს. ჩვენი სამზადისი განსაკუთრებულად ჩატარდა, ანუ ყველა წვრილმანის ზედმეწვევით გათვალისწინებით...

გარეთა თაღის ჭიშკარს უცაბედად მოადგა ერთადერთი მანქანა (თუმცა იქ მყოფნი აშკარად მეტს ველოდებოდით) და იქიდან გადმოვიდნენ ვასილ პავლეს ძე და შოთა ჭანუყვაძე.

ისინი ხმამაღლა, რიხიანად მიესალმნენ დამხვდურებს, ხოლო ცეკას თავკაცმა ხელი ჩამოართვა იქვე მდგომ ასაკოვან კაცს და ისე გულითადად მოიკითხა, თითქოს დიდი ხნის ნაცნობები ყოფილიყვნენ...

რა მშვენიერი ეზო და კარმიდამოა!.. - თქვა ქვეყნის მამინდელმა ლიდერმა და სახეზე მართლაც გამოყოფილება აესახა.

ყველას გადაუვსწარი და მუზეუმის კბიებზე ავირბინე.

—მობრძანდით ბატონო, გულითადად, თუმცა ხმის კანკალით მიემართე ვასილ მჭავანაძეს.

თავზე ხელი გადამისვა და გვარი მკითხა.

—მაგას გვარი არ უვარგა, თორემ ისე კარგი ბიჭია!.. - უეცრად უთხრა ჩემს მაგივრად შოთა ჭანუყვაძემ, რაზედაც კიდევ უფრო დავიმორცხვე.

—ვემორჩილები მუზეუმის წესებს!.. - ჩემდა გასაგონად შესძახა მჭავანაძემ.

— მე იმერეთში ვარ დაბადებული, მაგრამ კარგად ვიცი, რომ ბევრს გურულად მივანნივარ, იმიტომ, რომ ჩვენი გვარის უმრავლესობა გურიაში ცხოვრობს... თუმცა ქართველისთვის სულერთი უნდა იყოს, რომელ კუთხეში ბინადრობს... მთავარია, ქართველობა არ დაგვკარგოთ!.. ეს კალმასები და შემწვარ-მოხრაკული უდავოდ კარგია, მაგრამ ქოთანში ამოხელილი ლობიო მაინც მენატრება... უცაბედად ყოველგვარი კომპლექსი მომეხსნა...

ვასილ პავლეს ძე იქ შეკრებილთ დაემშვიდობა, თუმცა მასპინძელთა დაჟინებული თხოვნით სუფრაზე მაინც დარჩა...

თამადასავით ალბათ ლიტრანახევარი ღვინო მაინც დალია, დაგვემშვიდობა და წავიდა...

ვაჟა ჭანუყვაძე

სინარულიძეთა საგვარეულო



სინარულიძეთა საგვარეულომ ფენი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს იმ ქვეყანაში აიღვა, რომელსაც შავშეთი ეწოდება. შავშეთი კლარჯეთს ახ. წ. VIII საუკუნეში გამოეყო და მალე ცალკე სამეფოდ იქცა. სამ ქვეყანას ბაგრატიონთა ერთი შტო განაგებდა.

შავშეთის მეფეთაგან განსაკუთრებით აშოტ კუხმა გაითქვა სახელი. კუხი ადრე მუხას ერქვა და მეტსახელადაც იქცა ძლიერების აზრით. აშოტ კუხის სატახტო სოფელი ტბეთი გახლდათ და იქვე ააგო მან ისეთი დიდებული ტაძარი, როგორც ტბეთის მს-

ოფლიო ქრისტიანული სამყაროს უნიკუმია (ა.წ. X საუკუნე).

შავშეთის ქვეყანა სამი ხევისაგან შედგებოდა: შავშეთის, იმერხევისა და მიჭიხიანისაგან. შავშეთის მიწაზე ჩვენს წინაპართა ნაკვალევი საკმაო გამჭირვალვით მოჩანს დედამთავრული სახლის (სპარსული გვარი) ბოლო ათწლეულებიდან (ძვ. წ VII-VI საუკუნეები).

იქედან მოკიდებული დღემდე შავშეთმა დიდი გზა განვლო. (დედამთავრული სახლი, მამამთავრული სახლი, სახელმწიფოებრიობა და ა.შ.) და ღირსეული ადგილიც დაიკავა სამხრეთ-დასავლეთ სა-

ქართველოს კოლხურის ქართულ ოახისში. ათასწლეულთა განმავლობაში რომელი დამპყრობი არ ავიწროებდა მას: სპარსეთი, საბერძნეთი, რომი, არაბეთი, თურქ-სელჩუკები და მრავალი სხვა. ძველი წელთაღრიცხვის II საუკუნეში იგი გაძლიერებულმა ჰაიელთა მეფემ (ტიგრან II დიდი) დაიპყრო და თითქმის ცხრა საუკუნე გაგრძელდა ეს მდგომარეობა.

კოლაელთა ერთმა ნაწილმა (ლაზები) ახალი წელთაღრიცხვის გარიჟრაჟზე სამკვიდროდან აყრის ფასად შეძლო დამპყრობლის მარწუხებიდან თავის დაღწევა და დასავლეთ საქართველოს მიაშურა, რომელიც ამ დროს მრავალ სხვადასხვა წარმომავლობის „ნათესავებს“ (სპარსულად ტომები) ეკავათ. ესენი იყვნენ: ამპრევიტები, ქაჯნი, სვანთა ქართული მოდგმისანი და ა.შ.

ადრე შუა საუკუნეებში, როგორც იქნა საქართველომ შეძლო დამპყრობელთაგან თავდასხნა და სულ მალე გასაოცარი წარმატებებით ააღორძინა დიდად ნატანჯი ჭოროხისა და მის შორიასლო მდებარე ქართული ქვეყნები.

თურქ-სალჩუკები და სხვანი, თუმცა კიდევ აწუხებდნენ ჩვენი ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთ ქვეყნებს, მაგრამ რაც ოსმალებმა იმლაგრეს, მსგავსი მანამდე არაფერი ენახა ჩვენს ქვეყანას.

1645 წელს ოსმალთა ლაშქარი თავს დაესხა საქართველოს და დაბანაკდა გამოღმა ბას-

იანს (სოფ. სოხოსტა) და ორი-ოდე წლის შემდეგ პირველად დაშლილი საქართველოს წიაღიდან ამოზიდული გურიის სამთავროს წვდნენ და წარმატებასაც მიაღწიეს. ეს იყო 1547 წელს, როდესაც ოსმალებმა მტკიცედ დაიკავეს გონიის დიდი ციხე და მარჯვედაც გახსნეს დასავლეთ საქართველოსაკენ მიმავალი კარი.

კიდევ ორი წელი გავიდა და ახლა ოსმალები გურიის მეზობელ შავშეთს დაეცნენ და ისიც მიიტაცეს.

შავშეთის ქართული მოსახლეობის ერთი ნაწილი მტერს შეაკვდა, ნაწილი მტერმა დაატყვევა და ოსმალეთში გარეკა, ხოლო ნაწილმა გაქცევით უშველა თავს და გურიის სამთავროში (მთავარი ვარდანიძე) ჰპოვა თავშესაფარი.

ამ ლტოლვილთა შორის იყვნენ შავშები — გიორგაძეები, ვარშალომიძეები, სინარულიძეები და სხვები.

სინარულიძეები იმ დროს, როგორც სხვა ლტოლვილები, სხვადასხვა სოციალურ ფენებად განიყოფებოდნენ. ერთ ნაწილს მდაბიონი შეადგენდნენ, რომლებიც თავის მხრივ სხვადასხვა სოციალურ ფენებად იყოფოდნენ: აზატები, მსახურები, მებეგრები, მოჯალაბეები და სხვა.

მდაბიონთა ერთ ნაწილს სოფლების სასულიერო წოდების პლებური ნაწილი შეადგენდა, გაბატონებულს კი — ეპისკოპოსები და მიტროპოლიტები.

იმ დროს ქართველობა საგ-

ვარეულო წესრიგით ცხოვრობდა და ყოველ საგვარეულოს თავისი საგვარეულო ეკლესია და მისი წიაღიდან ამალეებული სამღვდლოება ჰყავდა.

სინარულიძეთა ერთ მცირე განშტოებას სხვადასხვა კატეგორიების აზნაურებიც შეადგენდნენ, რომელთაგან, გადმოცემით, ერთი გურიის მთავრის კარზეც ამალეებულა. ლტოლვილი სინარულიძეები გურიელს ზემო გურიის სოფელ შუბანს (ჩონატაურის რაიონი) დაუსახლებია.

თანდათან ახალმოსახლენი შუბანის შორი-ახლო სოფლებშიც (ზემო ერკეთი, ქვემო ერკეთი, მოვდანი, ბუკისციხე და სხვა) მოსდებია. უფრო გვიან კი უფრო შორსაც გაჭრდილან.

საგვარეულო სახელ სინარულიძის ფუძემდებელი ბრძანდება ვინმე „სინარული“, რომელიც შუა საუკუნეების შუა ხანებში იხსენიება სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს ძეგლთა წარწერებში. პირველი, ვინ სინარულიძის გვარსახელით იხსენიება, გახლავთ XV საუკუნის შუახანებში შავშეთელი პიროვნება დემეტრე სინარულიძე. საინტერესოა, რომ იგი წმინდა ქართველი მეფის დემეტრე მეორის (დაიღუპა საილხანოში 1289 წელს) სახელით იწოდება.

შეუძლებელი არ არის, რომ ასეთი წმინდა სახელის სინარულიძეები

მიხეილ გომეზისა და მიხეილ თავართქილაძის სსოვნის ტურნირი ტრადიციული გახდება



ოზურგეთში, მოლიანად გურიაში ტურნირი ტრადიციული გახდება და იგი ბერძნულ რომაული ჭიდაობის დამფუძნებლების, რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელების მიხეილ გომეზისა და მიხეილ თავართქილაძის სსოვნის

სპორტსმენების დაჯილდოების შემდეგ განუცხადა ქალაქ ოზურგეთის გაერთიანებული სპორტის განვითარების ცენტრის დირექტორმა გორა კვანტალიანმა:

„ეს ღირსეული ადამიანები ნამდვილად იმსახურებენ იმას, რომ ოზურგეთში მათი სსოვნის უკვდასყოფი ტურნირი ჩატარდეს და იგი ტრადიციული და საერთაშორისო გახდეს და ასეც იქნება“ - გვითხრა გორა კვანტალიანმა.

17 ივლისს გამართულ პირველ ტურნირში მონაწილეობდნენ 2003-2005 წლებში დაბადებული ოზურგეთელი, ლანჩხუთელი და აზერბაიჯანელი მოჭიდავეები.

გამარჯვებულები და პრიზიორები გახდნენ:

23 კგ წონით კატეგორიაში - 1. ლუნის ისკანდაროვი (ბაქო), 2. ნიკო-

ლოზ კუტუბიძე;

26 კგ წონით კატეგორიაში - 1. ალექსანდრე ფასიეშვილი, 2. ერეკლე თავებრიძე, 3. ემონ პლიზაძე (ბაქო);

29 კგ წონით კატეგორიაში - 1. ლუკა ფიფია, 2. ლუკა ჯავახიძე, 3. გიორგი ბერიძე;

32 კგ წონით კატეგორიაში - 1. ნოდარ გიორგაძე, 2. თამაზ ლლონტი, 3. გულიოზიძე ლუზაძე (ბაქო);

35 კგ წონით კატეგორიაში - 1. ლუკა ბენდელიანი, 2. ვანო ფერიკიანი, 3. სადის გუსეინოვი (ბაქო).

38 კგ წონით კატეგორიაში - 1. ლუკა ლომიძე, 2. ალიმ ბადაბლი (ბაქო), 3. საბა ცისკარიძე;

42 კგ წონით კატეგორიაში - 1. სერგო სარქისიანი, 2. ელიმირ რასაინიკი (ბაქო), 3. ერიკ სალგუზასარი (ბაქო);

46 კგ წონით კატეგორიაში - 1. საბა

სირაძე, 2. ნიკა დოლიძე, 3. ამინ სპრევი (ბაქო);

50 კგ წონით კატეგორიაში - 1. ფელიან ბეილაძე (ბაქო), 2. განივე ელისევი (ბაქო), 3. ვია შარაძე;

54 კგ წონით კატეგორიაში - 1. ნიკოლოზ შუკაშვილი, 2. გუსეინ გუსეინოვი (ბაქო), 3. რეზო ვაშლიძე;

58 კგ წონით კატეგორიაში - 1. დათო ჭილაძე, 2. ელნურ აზიზი (ბაქო), 3. რეზო ისმაილი (ბაქო);

63 კგ წონით კატეგორიაში - 1. გიორგი გიორგაძე, 2. საბა ფასიეშვილი, 3. შოთა მუსუტაძე;

69 კგ წონით კატეგორიაში - 1. ისმაილ ასკარდი (ბაქო), 2. ნიკა კილაძე, 3. თამაზ ჩხარტიშვილი;

მიხეილ ფონა - 1. საბა სირაძე, 2. ერეკლე ასვერდი, (ბაქო), 3. ალი სულეიმანოვი (ბაქო).

სამაგლობელი

კვალიფიკაციის ასამაგლობელი ტრენინგების დაფინანსებისათვის მაგლობას ვუხდით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს **მერაბ ჭანუყვაძეს**, ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოციალური აღზრდის ცენტრის დირექტორს **ავთანდილ მემკვიბიშვილს**, მეთოდური სამსახურის უფროსს **ნაილი ბრეგვიანი**. ასევე მაგლობას მოგახსენებთ შპს სოციალური დაფინანსებადების მუშაკთა გადახედვის, სემინარებისა და ტრენინგების ცენტრის დირექტორს **ქალბატონ თეონა ქვიციანიშვილს**, **სათუნა ლეგანიძეს** - ფსიქოლოგს, ილიას უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს, **ნიკო გაბაშვილს** - ლოგოპედს, ილიას უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს, სასკოლო მზარდის ჯგუფის აღმდგენელთათვის მათად საჭირო და საინტერესო ტრენინგის ჩატარებისათვის.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საგარეო ურთიერთობის სასკოლო მზარდის ჯგუფის აღმდგენლები.



მილოცვა

დიდ იუბილეს, დაბადებიდან 85 წლისთავს ეულოცავთ ბატონ **ამირან გამულაიშვილს**, რაიონისა და ქვეყნის მასშტაბით ცნობილ პიროვნებას, სოფლის დიდ მოამაგეს, კოლორიტს, ყველა ბაილეთელის ჭირისა და ღვინის გამზარებელს.

ეუსურვეთ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს. დაბადების მე-100 წელსაც ასე ჯანსაღი, მხნე და გამჭრიახი შეხვედროდეს.

უღრმესი პატივისცემითა და უდიდესი სიყვარულით, უმცროსი მეგობრების სახელით, მონიერი ჩხარტიშვილი, მერაბ გამულაიშვილი.

ეულოცავთ ბატონ ამირანს!

ეულოცავთ ბაილეთელთა სურვილებს და საიუბილო თარიღს, დაბადებიდან 85 წლისთავს ეულოცავთ, ჩვენს უფროს მეგობარსა და კოლეგას, მშობლიური სოფლისა და რაიონისათვის მრავალმხრივ მოღვაწეს, სპეცაკ და ღირსეულ პიროვნებას, ბატონ ამირან გამულაიშვილს!

თავს დატრიალებული ტრაგედიების მიუხედავად, ბატონი ამირანი, უფლის ნებით, მხნედ და ბურჯად უდგას თავის დიდ ოჯახს, როგორც ეს სულიერად ძლიერ, ეროვნულ ნიადაგზე გაზრდილ და მოღვაწე კაცს ეკადრება.

ვიმედოვნებთ, რომ გაზეთ „ალიონსა“ და მის მკითხველებს არ მოაკლდებათ ბატონი ამირანის მართლის მიქმელი და მართლის მკეთებელი, კარგი კალმით შექმნილი საგაზეთო პუბლიკაციები. ღმერთმა უმრავლეს ქვეყანას ბატონი ამირანის სადარი კაცები.

ავტომობილები განვადებით



„**ნიკორტი-2**“ ბთავაზობთ ავტომობილების და სხვა სატრანსპორტო საშუალებების ტრანსპორტირებას ავტო, მეროპის და იანონური (მარცხენა საჭმ) სადილერო კომპანიებიდან და ავტომობილებიდან. ასევე ავტო განვადებას: პირველადი შესატანი ღირებულების 40%, დარჩენილი თანხა გადასაფიქრებელია გასნივთ 36 თვეზე. ასევე მოქმედებს შიდა 0% განვადება. უპრემიუმდებლად დაბალი ტარიფები მოსახსურებავს და ტრანსპორტირებაზე. უფასო კონსულტაცია.

ტელ. 595 11 10 30, ზურა, მისამართი: 26 მაისის ქ. № 11ა.

მერაზიის ჩემპიონატი სოკარატეში

8 ივნისს საქართველოში, ქალაქ ოზურგეთის სპორტის სასახლეში გაიმართა მერაზიის ჩემპიონატი სოკარატეში (სრული კონტაქტური კარატე). შეჯიბრი ჩატარდა 3 სტილში: I - ფულ კონტაქტში (კინგდოქსინგის ვერსია); II - ნოკლენ კარატეში (კონტაქტური კარატე); III - სემი პინტ კუმბტეში (სპორტული კარატე).

შეჯიბრში მონაწილეობდა 5 ქვეყნის (საქართველო, სომხეთი, ირანი, უკრაინა და პოლონეთი). 50 სპორტსმენი.

შეჯიბრს ესწრებოდა მსოფლიო სოკარატეს ფედერაციის პრეზიდენტი ანდრე რეკოუფი, შვი ქმარი VII დანი; სომხეთის სოკარატეს ფედერაციის პრეზიდენტი დავით ატენასიანი, ღენტი შვი ქმარი V დანი; სერბეთის ლუგაჩიკი, უკრაინის სოკარატეს ფედერაციის წარმომადგენელი შვი ქმარი II დანი; ვაჰიდ ბაქრეზი, ირანის სოკარატეს ფედერაციის პრეზიდენტი შვი ქმარი VI დანი; ირაკლი ტულუში, საქართველოს სოკარატეს ფედერაციის პრეზიდენტი შვი ქმარი V დანი.

შეჯიბრების გახსნის ცერემონიალს დაესწრნენ: ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი მერაბ ჭანუყვაძე, ქალაქის ვიცე-მერი ალექო ბურჭულაძე.

საქართველოს სოკარატეს ფედერაციამ და მსოფლიოს სოკარატეს ფედერაციამ საპატიო სიგელებით დააჯილდოვეს ის ადამიანები, რომლებმაც ამ წლების განმავლობაში გარკვეული წვლილი გაიღო საბრძოლო ხელოვნების განვითარებისთვის გურუის რეგიონში. ასევე საპატიო სიგელებით დააჯილდოვდნენ ბატონი მერაბ ჭანუყვაძე, ბატონი ბეგი სიორიძე, ბატონი ვია სალუქვაძე, ბატონი ალექო ბურჭულაძე, ბატონი გორა კვანტალიანი და სხვები. აგრეთვე სიგელები გადაეცათ პრესას და ტელევიზიას.

საქართველოს სოკარატეს ფედერაციამ საჩუქრებით დააჯილდოვა ფედერაციის პრეზიდენტები, მათ გადაეცათ ქართული სუვენირები.

საქართველოს სოკარატეს ფედერაცია მადლობას უხდის ბატონ მერაბ ჭანუყვაძეს ტურნირის მხარდაჭერის დადასმარებისათვის, აგრეთვე ოზურგეთის მერას, გუბერნორს და სპორტის სასახლის დირექტორს გორა კვანტალიანს.

full პონტაქტი: I ადგილი **თამარ გოგუაძე**, 40 კილოგრამი; I ადგილი **ზურაბ გოგუაძე**, 30 კილოგრამი; I ადგილი - **მაშუკა კარაოვი**, 25 კილოგრამი; I ადგილი - **ელვუგა გოგუაძე**, 50 კილო-

გრამი; I ადგილი **გიორგი გოგუაძე**, 20 კილოგრამი; I ადგილი - **მათეჩილითარი**, 32 კილოგრამი მწვრთნელი ლეკვაჯა

სამ პონტაქტი (სპორტული ორთაბრძოლა): I ადგილი - **კოტე სირაძე**, 25 კილოგრამი; I ადგილი - **მარიამ მაჭარაშვილი**, 55 კილოგრამი. მწვრთნელი - ირაკლი ტულუში

ნოკლენ კუმბტე I ადგილი - **კახა ჩაბოლი**, 55 კილოგრამი, მწვრთნელი თენგი დავითაძე, ქობულეთი. შეჯიბრზე დავით ატენასიანს მიენიჭა V დანი სოკარატეში, აგრეთვე ვაჰიდ ბაქრეზის, ირანის წარმომადგენელს მიენიჭა შვი ქმარი VI დანი.

სოფლიოს აიკიკენდოს ფედერაცია, რომელიც სომხეთშია, ირაკლი ტულუშს მიანიჭა შვი ქმარი V დანის ხარისხი მსოფლიოს აიკიკენდოს ფედერაციაში.

შტუმრები კმაყოფილი წავიდნენ შეჯიბრებიდან. ადგინდა, რომ ევროპის ჩემპიონატი სოკარატეში ლეკვების თვეში პოლონეთში გაიმართება. ეუსურვეთ წარმატებებს ქართველ მებრძოლებს.

ირაკლი ტულუში,

საქართველოს სოკარატეს ფედერაციის პრეზიდენტი, შვი ქმარი V დანი.

7 დღის ამინდის პროგნოზი

მზა, ღრუბელი +19+23 24 ივლისი ორშაბათი	მზა, ღრუბელი +19+24 25 ივლისი სამშაბათი	შამა-ქუნილი 19+28 26 ივლისი ოთხშაბათი	მზა ღრუბელი 20+26 27 ივლისი ხუთშაბათი	მზა ღრუბელი +20+26 28 ივლისი პარასკევი	შამა-ქუნილი +20+26 29 ივლისი შაბათი	წვიმა +16+21 30 ივლისი კვირა
---	--	--	--	---	--	---------------------------------